მშრომელთა მსოფლიოს ერთიანობისა, შეიარაღებულ ძალთა

კომუნისტი

საქ. კ პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
შაბათი
15
ნოემბერი
1954 წ.
№ 214 (4070)

დღეს ნომერში

— **გერმანია** და **აღმოსავლეთის** პაქტი.
— **იტალია - სამხრეთ-სლავიის** ურთიერთობა მწვავდება.
— **ბალტიკის ქვეყნების** თანამშრომლობისა და თანხმობის ხელშეკრულება.
— **ტრანსპორტელთა** გაფიცვა იაპონიაში.
— **მცირე ანტანტის** ქვეყნების ხელშეკრულების პროექტი.
— **ბეკის** და **შუშნიგის** გამოსვლა ერთა ლიგის პლენუმზე.
— **იაპონია - გერმანიის** დაახლოება.
— **საფრანგეთის** კომპარტიის ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრი ლი ამხ. კაშენს.
— **ამხ. ოლჯონიკიძის** ბრძანება.
— **მარგანეცის** პროდუქციის გამომუშავებამ ტემბერს შესრულდა 80,7 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის ფრონტზე ბრძოლა დამთავრებულია

ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა წლიურ გეგმის ვადამდე შესრულებამ ადგილებზე ბევრგან შექმნა **შეხვენებისა** და **დემობილიზაციის განწყობა ლება.**

ჩაის რაონების ზოგიერთი ხელმძღვანელები ასე ფიქრობენ: რაკი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა შესრულებულია, მაშასადამე, შეიძლება დამშვიდებას მიეცეს, შეიძლება ჩაის ფრონტზე ბრძოლის ტემპები „დროებით“ შეანელო.

ასეთ განწყობილებებს რომ ერთგვარი გასავალი აქვს, ეს ჩანს იმ სერიოზული **გარღვევიდან,** რომელიც ჩვენ გვაქვს **ჩაის პლანტაციების დამუშავების** საქმეში. ეს ჩამორჩენა კი სარგებლობია როგორც საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში, ისე საბჭოთა მეურნეობებში.

ჩაის პლანტაციების დამუშავების **ვადა უკვე ამოიწურა,** საბჭოთა მეურნეობებს კ პლანტაციების მესამე გათოხნის გეგმა შესრულებული აქვთ 78 პროცენტით, მეოთხე გათოხნის კი 47.7 პროცენტით.

სად არის ამ ჩამორჩენის მიზეზი? ცხადია ჩაის მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობების უხეირო მუშაობაში. ავიღოთ მაგალითად **ლაითურის** საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. **ნ. გოლგაძე**) აქ პლანტაციების მესამე გათოხნა. გეგმა შესრულებულია მხოლოდ 47 პროცენტით, მეოთხე კი 4 პროცენტით!

ლაითურში გეგმის შეუსრულებლობას წვიმებისა და მუშახელის ნაკლებობას აბრალებენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იქ იმ მუშებსაც, რიგიანად ვერ იყენებენ, რომლებიც ყავთ. ბინებიდან მუშების სამუშაო ადგილზე გადაყვანა ყოველდღიურად 3-4 საათი იკარგება და ეს იმიტომ, რომ დირექციამ დღემდე ვერ შესძლო ტრანსპორტის მოგვარება.

ანდა რას მოწმობს **ჯოლევეჯიანის** საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ამხ. **ციზრია**) სამარცხვინო ჩამორჩენა, თუ არა იმას, რომ იქ სერიოზულად არ ზრუნავენ **ადგილობრივი საშუალებებისა** და **რესურსების გამოსაყენებლად.**

ჯოლევეჯიანის მეურნეობის პლანტაცია **ყველაზე** უფრო მეტად არის დანაგვიანებული სარეველა ბალახებით. ამიტომ მეურნეობის მიცემული აქვს პლანტაციის **მეხუთედ** გათოხნის დავალება. თავ-ფაქტიურად იქ მესამე თოხნა დამთავრებული არ არის, მეოთხე თოხნის დავალება შესრულებულია მხოლოდ 1,8 პროცენტით და მეხუთე გათოხნას კი დღემდე სრულიად არ შედგომია.

პლანტაციების დამუშავების მხრივ სერიოზული ვარღვევები აქვს ადგილი **ახალციხის** რაიონსაც. ეს ჩანს ამ ფაქტიდან, რომ ამ რაიონმა 1954 წლის 1 ოქტომბრისათვის 1.200 ჰექტარ ფართობზე ჩაის ბუჩქები ამოიგლიჯა. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ეს ბუჩქები ადრე ან ცუდ ხარისხზე, ან ადგილებზე, სადაც ჩაის ბუჩქი ვერ ეგუება, ანაცვლებ ... ეს ... ეს ... ...

ფართოდ გავშალოთ ლენინიზმის პროპაგანდა

კონკრეტული ხელმძღვანელოგის მაგალითი

(ლენინის რაიონი)

—ამხ. ბორია გრიცენკო ქარხანაშია წასული...

— ვინ იცის როდის მოვა რაიკომში. მას არ უყვარს კაბინეტში ჯდომა და „ქალდების ჯდომა, მისი მუშაობის მეთოდი კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობაა.

იგი ყოველთვის ქარხნებშია. ესწრება

ლენრაიონის პარტსკოლების დამკვრელი მუშები: მარჯანიდან მარცხნივ ამხ. ჯ. ზულცი, ი. ოგანეზოვი, ვლ. ბათია შვილი და ჭარბალაშვილი

ⓜ ⓜ ⓜ

პარტორგანიზაციების კრებებს და პარტგანათლების სკოლების მეცადინეობებს.

ამ წლის 7 მარტიდან იგი შეუდგა ლენინის სახ. პარტრაიკომის პასუხისმგებელი ინსტრუქტორის მოვალეობის ასრულებას, მან თავიდანვე მოფიქრებულად და მონდომებით დაიწყო მუშაობა, მონახა მუშაობის მთავარი რგოლი—მე-17 პარტყრილოგის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლა და მის საფუძველზე პარტიული მუშაობის გაღრმავება. ეს იყო მისი მუშაობის პროგრამა, რომლის განხორციელებისადმი მან უაღრესად დიდი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინა.

მუშაობის დაწყებისთანავე შეამოწმა თავის სამოქმედო ორგანიზაციებში პარტგანათლების და პოლიტგანათლების სკოლების მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ ნავთის საბურღავ მანქანათა მშენებლობის პარტიული ორგანიზაციაა ახლადთანმორიგი საქმედ თვლიდა მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლას, პროპაგანდისტად გამოუყოფილი იყო ამხ. დავიდოვი, სრულიად მოუმზადებელი და უხუსური ამ საქმისათვის. პარტორგანიზატორთან ერთად ინსტრუქტორმა შეისწავლა აღნიშნული პარტგანათლების სკოლის მდგომარეობა და უსერო პროპაგანდისტი დავიდოვი მოიხსნა. ამხ. გრიცენკო ამით არ დაკმაყოფილდა. მან პარტკომის დახმარებით ადგილობრივ გამოძებნა შესაფერისი კაცი, რომელიც საკმაოდ მომზადებული აღმოჩნდა, და მას ჩაბარა პარტგანათლების სკოლა, ამის შემდეგაც იგი ყოველთვის ეხმარებოდა (თვეში ერთჯერ მაინც) აღნიშნული სკოლის მეცადინეობას და უშუალოდ ეხმარებოდა მას იდეური პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში, თეორიისა და პრაქტიკას დაკავშირებაში.

გრიცენკოს არ გამოპარვია ყურადღებიდან ის მდგომარეობა, რომ ზოგან პარტგანათლების სკოლების სუხტი და უსარისნო მუშაობის მიზეზი იყო სკოლების არაზწორი დაკომპლექტება. ტფ. მაცივარის მშენებლობის პარტგანათლების სკოლაში განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა იყო ამ მხრივ. ამხ. გრიცენკო აქ რამდენჯერმე დაესწრო მეცადინეობას. შეამჩნია, რა მსმენელთა უმეტესობა ხუთბალ ითვისებენ გასვლილ მასალას, ხოლო განსაკუთრებით ერთი კომკავშირელი ამხ. ჩიხლაძე განვლილ მასალის შემოწმების დროს წყდებს, არავითარ მონაწილეობას არ იღებს საკითხების განმარტებაში, თუ რა. მეს შეეკითხებიან, მორცხვად თავს გიჭერნავს და ჩაილუღლუღებს „არ ვიცი“ ერთი ასეთი მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ამხ. გრიცენკომ იკითხა — დუმილის მიზეზი.

— რაზედაც ახეთი პასუხი მიიღო.

— მე რუსული არ მესმის, პარტგანათლების სკოლაში კი მეცადინეობა რუსულად არის, ერთფერს ვიგებ და, რასაკვირველია, ვერც ვუპასუხებდი.

— მაშ რალად დადიხართ მეცადინეობაზე?

— მაინც დავდივარ როგორც კომკავში. რელი, ვიმორჩილები დისციპლინას...

რასაკვირველია, არასახიერმოვნი იყო ეს ამბავი. გრიცენკომ იმ დღეს მოელაპარაკა მშენებლობის პარტკომის მდივანს და

მეორე თუ მესამე დღეს პარტკომკავშირიოლია კრებაზე მოსმენილ იქნა აღნიშნული პარტგანათლების სკოლის პროპაგანდისტოა მოხსენება სკოლის მდგომარეობის შესახებ.

კრებაზე ილაპარაკეს მსმენელებმა ყველა იმ ნაკლოვანებაზე, რაც აღნიშნულ სკოლის მუშაობას ახასიათებდა, ილაპარაკეს

ლენრაიონის პარტსკოლების დამკვრელი მსმენელები: მარჯანიდან მარცხნივ: ამხ. გ. ბროი

დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი

აჭარისტანი სანიმუშოთ მოემზადა ახალი სასწავლო წლისათვის

დღეს აჭარისტანის ყველა სკოლებში იწყება მეცადინეობა. თვით ეს ფაქტი — მეცადინეობის დაწყება მტკიცე ვადებში წელს და გასულ წელში—უდიდესი გამარჯვებაა კულტურული რევოლუციის ფრონტზე. დიდი მიღწევაა აჭარისტანის პარტიული ორგანიზაციისათვის, რადგან გასულ წლამდე, როგორც წესი, აჭარისტანის არა მარტო რაიონებში, არამედ თვით ბათომშიაც კი მეცადინეობა იწყებოდა ოქტომბრის დამლევს, ხოლო მთელ რიგ სოფსაბჭოებში (რიყეთი, ჭვანა, უჩამბა, ცხმორისი, ზვარე, თხილნარი, გონიო და სხვ.)—ნოემბრის შუა რიცხვებში, თუ ამას მიუმატებთ იმ გარემოებას, რომ ქალაქში მეცადინეობა მთავრდებოდა 1 მაისისათვის, ხოლო სოფლად მას მოწაფეობა „ათთავრებდა“ 10—15 აპრილისათვის, — ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გარი იქნებოდა მეცადინეობის ხარისხს; როგორც კი დადგებოდა გაზაფხულის სოფსაბჭოებიდან რაიონებში, ხოლო რაიონებიდან კი ბათომში მოდიოდა დაუსრულებელი შეკითხვა, ეს ფაქტი — ეს ფაქტი — ეს ფაქტი.

ბათომის საბაზო სკოლის ახალი შენობა; ზევით ბათომის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ელიას ქაბამაძე.

***

ლებელი შეამდგომლობა იმის შესახებ, რომ დროა სკოლები დავითხოვოთ, ოდგან პირუტყვი მთაში უნდა გადიდნას და გლეხებმა თავანთი ბავშვები უნდა გაიყოლონნო, ან უანაში გლეხს ბავშვის მეტი არავინ ყავს სამუშაო და ამიტომ ის მაინც სკოლიდანნო.

ხოლო ცოდვილო, ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებელიც კი უწყობდა ხელს ასეთი განწყობილებას შექმნას სოფლად, რადგან ამით ახინი ადრე „ამოავრებდენ“ მუშაობას და მიდიოდენ თავიანთ ხოლოებში

1933-34 სასწავლო წელში ამ მხრივ მოხდა ძირითადი გარდატეხა. სკოლებმა მტკიცე ვადებში დაასრულეს მეცადინეობა, დასრულებს არა უბრალოთ, არამედ **მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით**, ხოლო ამავე დროს აპრილიდან დაიწყეს მზადება ახალი სასწავლო წლისათვის, როგორც ქალაქად, ისე სოფლად ლოზუნგი **„ახალი სასწავლო წელი იწყება ახლა“** გადაიქცა ყველაზე უფრო ძალადამრეულად, საბრძოლო ამოცანად, რომლის შესრულებისათვის დაირაზმა მთელი პარტიული ორგანიზაცია, აჭარისტანის ყველა მშრომელები. სასწავლო წლის დასრულებისას ჩატარებულ მასწავლებელთა კონფერენციებზე ასობით მასწავლებლებმა თავი დამკვრელად გამოაცხადეს, მთელი ზაფხლის პერიოდის განმავლობაში მიეძაერენ სოფლებს და გამაღლებ ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა ახალ სასწავლო წლის ყოველმხრივ მომზადებულად შეხვედრისათვის.

ამ ბრძოლამ, დაუშრეტელი ენთუზიაზმი მუშაობამ თავისი საუკეთესო შედეგები გამოიღო: **აჭარისტანი სანიმუშოდ მზადაა ახალი სასწავლო წლისათვის** და ორგანიზებულად იწყებს მეცადინეობას.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ აჭარისტანს სოფელს არასოდეს არ ახსოვს კულტურულ ფრონტზე ასეთი შეტევა: დიდი და პატარა, მწყემსი და გზის ოსტატი, კოლეგურნე, ერთპიროვნული მშრომელი, ინტელიგენტი, მჭედელი, დურგალი, კოლმეურნეობა, პარტიული, უპარტიო, კომკავშვილი — ყველანი ვალდებულად ადგენდენ თავის თავს უკლებლივ შეასრულებინათ უდიდესი მოვალეობა, რომელიც ხალხან მოითხოვდა საბჭოთა სკოლა.

დაწყებული გაზაფხულიდან, როდესაც პარტიის საოლქო კომიტეტმა და აჭარისტანის ცაკმა დასახეს პრაქტიკული ღონის ძიებანი ახალი სასწავლო წლის მზადებისათვის, გათავებული უკანასკნელ დღემდე, არ ყოფილა საოლქო კომიტეტის პიუროს და ცაკის პრეზიდიუმის თითქმის არც ერთი სხდომა, რომელზედაც არ ყოფილიყო დასმული სახალხო წლისათვის მზადების საკითხი, ხოლო კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება პირდაპირ „ალამდება“ სოფლის საბჭოებში. და თავს დასტრიალებდა სკოლის ყოველ მაგიდას, სკამს, ფანჯარას, ყოველივე ამის შედეგად აჭარისტანის ყველა სკოლებში ჩატარებულია სასკოლო შენობების და ინვენტარის რემონტი, შეძენილია ახალი ინვენტარი, ყველა სკოლა უზრუნველყოფილია მასწავლებლებით, ხოლო უკანასკნელები—ბინით, გათბობით, განათებით. აჭარისტანის სახელმწიფო გამომცემლობამ სრულიად უზრუნველყო სკოლები სახელმძღვანელოებით და თვალსაჩინო ფარადებით. დამთავრებული იქნა მთელი რიგი სკოლების აგება, გაიზარდა სკოლების ტესი. ასე, მაგალითად, თუ 1933-34 სასწავლო წელში რაიონებში იყო 274 დაწყებითი სკოლა, 1934-35 სასწავლო წლისათვის არის 283, არასრული საშუალო სკოლა იყო 20, არის 24. თვალსაჩინოთ გადიდდა მოწაფეთა რაოდენობაც: თუ მარტო რაიონების სკოლებში გასულ წელში იყო 15.084 მოწაფე, დღესათვის ითვლება 18.139 მოწაფე. სოფლის სკოლებთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია **ქობულეთის** არა სრული საშუალო სკოლა (დირექტორი ამხ. **ფირცხალაიშვილი**) და **მახინჯაურის** არა სრული საშუალო სკოლა (დირექტორი ამხ. **ცაქიტინიძე**), რომლებმაც დიდი ორგანიზებულობით ჩატარეს მთელი მოსამზადებელი მუშაობა. ეს სკოლები გამონაკლისი არ არიან; **ბორიკეთ**, ცუდათ მომზადებული სკოლა დღეს აჭარისტანის რაიონებში გამონაკლისია. (მაგ. **კოგულეთის**).

მაგრამ ნიშნავს ეს თუ არა იმას, თითქოს ყველაფერი გაკეთებულია ხულის, ქედის, ქობულეთის და ბათომის რაიონების სკოლებში? არა, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი; აჭარისტანის სოფლის სკოლის დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის ** კულტურულად** მოწყობილი, რაიონების სკოლათა ინტერნატები ჯერ კიდევ ღარიბულად გამოიყურებიან, ყველა სკოლას არ აქვს საკუთარი ბინა, სოფლის ნაკლებად ყავს **მაღალი კვალიფიკაციის** მასწავლებელი

ბათომი — ბერძნული სკოლა; მუშაობა წიგნზე

ერ. გორდელაძე
განათლების სახ. კომისრის მოადგილე

სასწავლო წლის პირველი დღე

დღეს სასწავლო წლის პირველი დღეა. დღეს ჩვენი თაობა—მსოფლიოში ყველაზე უფრო ბედნიერი თაობა—სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის ბავშვები, მხნე, ფიზიკურად ჯანმრთელნი, სიცოცხლით და სიბაჯეთ სიხარულით აღსავსენი შევლენ თავის სკოლაში მტკიცე გადაწყვეტილებით — აიყვანონ თავისი სწავლა შემდგომ უმაღლეს საფეხურზე.

მათ შეხვდება პედაგოგის მოალერსე სახე, წარმატებით მომზადების გამო, დირექტორის კმაყოფილი გამომეტყველება, სუფთა, ახლად შეკეთებული ოთახების კედლები, ახალი ბრწყინავი პარტები და საკლასო დაფები, ახალი, ლამაზ ყდებში ჩასმული სტანდარტული სახელმძღვანელოები და სხვ.

ახალ სასწავლო წელს ჩვენ გაცილებით უფრო უკეთ მომზადებული ვხვდებით, ვიდრე წინანდელ წლებში. ახალი სასწავლო წლისათვის მზადება მიმდინარეობდა კულტურული მშენებლობის საკითხებისადმი პარტიული. საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უდიდესი გაძლიერებული ყურადღებით. იგი მიმდინარეობდა, როგორც უდიდესი სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობის მასობრივი კამპანია. რასაკვირველია, ახლა თავისი გავლენა მოახდინა მთელს ჩვენს მოშობაზე და უმაღლეს სიფხიზლეზე დაყენა იგი. ამას ყოველგვარი სტატისტიკური ცნობიერ უკეთ მოწმობენ თვით სკოლები. ხოლო ორ თვალს გადავავლებთ ციფრებს. ადმოჩნდება, რომ არასრული ცნობებით (რომლებიც მიღებულია მხოლოდ 32 რაიონიდან, ავტონომიური რესპუბლიკების და ტფილისის გამოკლებით), ჩვენ შემდეგი სურათი გვაქვს: საზოგადოებრივი ინიციატივის წესით შეგროვებულია 3.679.000 მანეთი, დამზადებული და დაწყებულია სკოლებში 2.575 კუბიკური მეტრი შეშა, შეძენილია 425 კაბინეტი, 88 სახელოსნო, დამზადებულია 1.960 საკლასო დაფა და 17 ათას ზე მეტი პარტა, ამენებულია 1.200-ზე მეტი ახალი საკლასო ოთახი. შეკეთებულია 6.000 საკლასო ოთახი. თითქმის ყველა სკოლაში შეკეთებულია შუამდგომლობა ამ მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. მაშასადამე, ბრძოლა სწავლების მაღალი ხარისხისათვის, პროგრამების თანაბრად და მთლიანად ათვისებისათვის — ეს არის ძირითადი და ცენტრალური ამოცანა. აღნიშნული ამოცანის შესრულება წარმოადგენს თვითეული სკოლის ღირსების საქმეს. მომავალი წელი უნდა გადაიქცეს სწორედ სკოლის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლობის **უჩვეულო** ზრდის წელიწადად.

მეორე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავიწყოთ სასწავლო წელი 15 სექტემბერს და დავამთავროთ იგი ზუსტად დაწესებულ ვადიბში. ეს ეხება ყველა რაიონს, მაგრამ, პირველ რიგში,—ნაკუმციერესობათა რაიონებს, რომლებიც სასწავლო წელს მუდამ იწყებენ არა სექტემბერში, არამედ 2—3 თვის გასვლის შემდეგ და ამთავრებენ მაისში. მეორე მხრით, ჩვენ მოვითხოვთ სასწავლო, სკოლის „არეში“, ორგანიზაციული და სამეურნეო მუშაობის ისე დაყენებას, რომელიც დახმარებას გაგიწევს აღმოვფხვრათ ან მინიმუმამდე დავიყვანოთ მოსწავლეთა აცთესვა სასწავლო წლის პერიოდში.

მესამე ამოცანაა — არ დაგვიწყდეს ის, რომ ისტორიის და გეოგრაფიის სწავლების საქმე ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო და ჩვენ ხარისხობრივად უნდა ავიმაღლოთ აღნიშნული დისციპლინების სწავლება. დღეა-ენა და რუსული ენა, გეოგრაფია და ისტორია — ეს ისეთი საგნებია, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში უნდა მოექცეს ყურადღების ცენტრში, ვინაიდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ აქა გვაქვს ჩვენ ყველაზე ოთხი მეტი ჩამორჩენა.

მეოთხე ამოცანა — ეს არის სკოლის გარეშე მუშაობის გადაჭრით ამაღლება და ხარისხობრივი გაუმჯობესება. წლითიწლობით ჩვენს წინაშე სულ **ახალი** და **ახალი** ამოცანები დგება. სკოლა ყოველდღე იცვლის თავის სახეს. საჭიროა, რომ სკოლის გარეშე მუშაობა უპასუხებდეს ამ ამოცანებს, აკმაყოფილებდეს ახალგაზრდობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ჩვენ რადიკალურად უნდა შევცვალოთ სკოლის გარეშე მუშაობის ფორმები, მეთოდები და შინაარსი. ნაკლები კრებები და ფაკადუცი, რაც შეიძლება ნაკლებად გამოვუტანოთ თავი ბავშვებს ყოველგვარი „იზმებით“, დაწყებული საერთაშორისო პრობლემებით — მეცხრიერულ სოციალიზმამდე. მეტი მიმზიდველობა ამ მუშაობაში, რაზაც უნდა განვითარდეს და ამოქმედოს ბავშვთა შემოქმედებითი აქტიობა, გაამდიდროს ისინი ახალი ცოდნით, შექმნას დისციპლინა და აღზარდოს მათში ჩვენი ქვეყნის წინაშე მოვალეობის გრძნობა.

მეხუთე ამოცანა მოითხოვს, რომ თვითეულმა მასწავლებელმა პრაქტიკულად მოკიდოს ხელი თავისი კვალიფიკაციის ამაღლებას და მიაღწიოს პედაგოგიური ოსტატობის სავსებით დაუფლებას.

რაც შეეხება ორგანიზაციულ საკითხებს, გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ თუმცა სასწავლო წელი უკვე დაიწყო, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი გვაქვს. ხელმძღვანელობის დარგშიაც დაწყებული კომისარიატით და გათავებული განათლების რაიგანყოფილებებით, დეფექტები მრავალია. სავსებით სამართლიანად გვისაყვედურებს ჩვენ ცენტრალური ორგანო „პრავდა“, რომელიც აღნიშნავს, რომ სკოლების ჩამორჩენილობის მიზეზი მდგომარეობს განათლების ორგანოების ცუდ ხელმძღვანელობაშიო.

ჩვენ უდიდესი მოშუაობა ჩავატარეთ სასკოლო შენობების მშენებლობის და რემონტის დარგში, სასკოლო მოწყობილობის რემონტის და ახალი პარტების, საკლასო დაფების, კაბინეტების და სხვ. შეძენის დარგში. მაგრამ დღემდე ვერ ვისწავლეთ ყოველივე ამის გაფრთხილება დირექტორს, მასწავლებელს, მოსწავლეს, თუ სურვილი ექნებათ, შეიძლიათ შეინარჩუნონ მიღწეული წარმატებები, შეიძლიათ იმაკი მდგომარეობაში შეინახონ სკოლა სასწავლო წლის დამლევამდე, რა მდგომარეობაშიც იგი ახლა არის. მეორე მხრით, თუ გამოიჩინეს დაუოიერობა და უპასუხისმგებლობა, შეიძლება არარად იქცეს ყოველივე ის, რაც გაკეთებულია მზადების პერიოდში. ამიტომ პიოგაგოგები უნდა გაიმაგრეთ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით საკუთრების, როგორც სოციალისტური ხელოვნების ობიექტი საკუთრების. მთლიანობისათვის. საჭიროა ის გრძნობა დაინერგოს მოსწავლეების შორისაც. მოსწავლე, რომელიც ამბრეიის მაგიდებს, სკამებს, პარტებს სასწავლო ნიოსაწყობებს, ათეულობით ლიტლებს, იგი ზიანს აყენებს სახელმწიფოს და ღირსია მკაცრი გაკიცხვის.

თუ ჩვენ ვაკისრებთ პედაგოგს ბავშვთა კომუნისტური აღზრდის უაღრესად **საპასუხისმგებლო ამოცანას**, ის შემთხვევაში ჩვენ უნდა შევქმნათ ყველა საჭირო პირობები მათი ნორმალური მუშაობისათვის. მასწავლებელი და მასზე მზრუნველობა ერთი წუთითაც არ უნდა გამოვაპაროს მხედველობიდან რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი სახალხო განათლების ორგანოებს.

საჭიროა უზრუნველვყოთ ხელფასის თავის დროზე გაცემა. პედაგოგების შეუფერებელი მომარაგება პურით, სურსათით და სამრეწველო საქონლით. ჩვენ უნდა შევუდგეთ საკუთარი სასურსათო ბაზის, როგორც პედაგოგთა დამატებითი მომარაგების წყაროს, შექმნას თვითეულ რაიონში.

სკოლისადმი ოპერატიული კონკრეტული ხელმძღვანელობის განსახორციელებლად საჭიროა განათლების რაიგანყოფილების ინსტრუქტორთა შემადგენლობის გაძლიერება და განმტკიცება. მათი მატერიალური და უფლებრივი პირობების გაუმჯობესება, აგრეთვე მათი უზრუნველყოფა ტრანსპორტით. აღმასკომები, რომლებიც სიძულწეს იჩენენ განათლების რაიგანყოფილების გამგის და ინსტრუქტორების ჯამაგირის საკითხში, მათთვის ტრანსპორტის შეძენის საკითხში, — არარად აქცევენ მთელს მუშაობას, ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ სწევენ ათასი მანეთის ეკონომიას და ამავე დროს ხარჯავენ რამდენიმე ასეულ ათას მანეთს, ვინაიდან ცოცხალი ინსტრუქტაჟის და ყოველდღიური ხელმძღვანელობის გარეშე სკოლები ვერ გაართმევენ თავს თავის ამოცანას.

ძალიან სუსტად მიმდინარეობს იმ სახსრების ათვისება, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია სასკოლო მშენებლობისა და რემონტისათვის, მოწყობილობისა და სასწავლო ხელსაწყოებისათვის. განათლების რაიგანყოფილების გამგეებმა და სკოლების დირექტორებმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ აღნიშნული სახსრები მთლიანად იქნას ათვისებული პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

საჭიროა ადგილობრივი ინიციატივა, ადგილობრივი ორგანოების ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ამ მუშაობაში, რაზაც უნდა განვითარდეს და ამოქმედოს ბავშვთა შემოქმედებითი აქტიობა, გაამდიდროს ისინი ახალი ცოდნით, შექმნას დისციპლინა და აღზარდოს მათში ჩვენი ქვეყნის წინაშე მოვალეობის გრძნობა.

ჩვენ ბოლშევიკურ სიტყვას ვიძლევით, რომ ახალ სასწავლო წელში სავსებით უზრუნველყოფთ სკოლის მუშაობის მაღალ ხარისხს.

რაიალმასკომის თავმჯდომარე
შარიქაძე.

განათლების განყ. გამგე
დოლიძე.

ალეგულ ჯალდეგულებას შეეასრულებთ

ფოთის რაიონის ორგანიზაციებმა ნოემბერი საბჭოთა საზოგადოებრიობას მტკიცედ დარაზმვით მიაღწიეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში. მაღალ მაჩვენებლებს.

საფუძვლიანად შეკეთებულია ყველა სასკოლო შენობები და სასკოლო ინვენტარი.

ფოთის მეზღვაურთა საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. ნ. ჯინთავა

ახალი სასკოლო მშენებლობისთვის დახარჯულია ნახევარი მილიონი მანეთი.

სკოლები უზრუნველყოფილია ლაბორატორია-კაბინეტებით და პოლიტექნიკური სახელოსნოებით.

ყველა სკოლისათვის გამოყოფილია ნაკვეთები ციტრუსოვანი კულტურების გასაშენებლად.

სკოლები უზრუნველყოფილია სათბობი მასალის წლიური მარაგით და (ბილი საუზმისთვის სურსათანაოვაგით.

დაკომპლექტებულია მასწავლებელთა დანაშენა-გადაჯგუფება, გამგეებმა და დირექტორების შერჩევა-დამტკიცება სკოლები დაკმაყოფილებულია საჭირო პედაგოგიური კადრებით.

ახალი სასწავლო წლის ნორმალურად დაწყება სავსებით უზრუნველყოფილია.

საქ. კ.პ. (ბ) ფოთის ქალაქკომის პ.-გ. მდივანი: ბრ. მალანია

საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე: ვ. ფაჩულია

განათ. განყ. გამგე: შ. ჯაავა.

მზად ვართ სწავლის დასაწყებად

ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ბოლშევიკურ ხელმძღვანელობით **ზესტაფონის** რაიონულმა ორგანიზაციებმა 1934-35 სასწავლო წლის მზადების საქმეში. მშრომელთა ფართო მასების დარაზმეით სოც. შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გამოყენებით 10 აგვისტოსათვის, ე. ი. ოცი დღით ადრე სწავლის დაწყებამდე უზრუნველყო ახალი სასწავლო წლის მომზადება.

19 ივნისიდან 19 ივლისამდე მოეწყო დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები 35 კაცის რაოდენობით. ქ. თელავში ისტორიის და გეოგრაფიის მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე გაიგზავნა 3 გეოგრაფიის და 3 ისტორიის მასწავლებელი. და სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებების 3 მასწავლებელი ქუთაისში.

ივნისში მოხდა მასწავლებელთა განაწილება. თვითეულმა მასწავლებელმა იმ თვითეულ იკოდა, 1-ლ სექტემბრიდან თავისი შეკრების ადგილი, კლასი და საგანი.

აღრიცხულია სასკოლო ჰასაკის ბავშვები და გატარებული ჯგუფების დაკომპლექტება. საოკეთესო მოსწავლე პიონერთათვის (120 კაცისათვის) მოეწყო ერთთვიანი ბანაკი.

რაიონის სკოლები მომარაგებულია საჭირო რაოდენობის რვეულებით, ფანქრებით, კალმებით, კალმატარებით, ცარცით და სახელმძღვანელოებით.

შეძენილია სკოლებისათვის 8 ფიზიკის და ქიმიის კაბინეტი. დამატებით შეგროვილია 32.000 მანეთი 13 სასკოლო კაბინეტის შესაძენად. მოწყობილია 10 სრულიად ახალი პოლიტექნიკური სახელოსნო — საზეინკლო და სადურგლო. სკოლები უზრუნველყოფილია მიწის ნაკვეთები და დამზმარე მეურნეობებით; ნაკვეთებზე ადგილებულია ხელშეკრულებები წარმოებებთან და კოლმეურნეობებთან. მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით ნებაყოფლობით საფუძველზედ შეგროვილია 200.000 მანეთი.

დამთავრებულია 32 სრულიად ახალი საკლასო ოთახის მშენებლობა; შეკეთებულია რაიონში არსებული ყველა სკოლის შენობები და ასრულია მთლიანად მიწები; შეკეთებულია 986 ძველი პარტა, დამზადებულია და შეღებილია 650 სრულიად ახალი ორადგილიანი სტანდარტული პარტა. შეკეთებულია 73 ცალი ძველი დაფა; ახლად შეძენილია 43 ცალი დაფა. შეკეთებულია 78 ძველი მაგიდა, შეძენილია 42 ახალი მაგიდა, შეძენილია 135 ცალი ახალი ვენური სკამები, შეკეთებულია და წესრიგში მოყვანილია 65 ღუმელი და შეძენილია 54 ახალი ღუმელი. სკოლები უზრუნველყოფილია სათბობი მასალით (დამზადებულია 85 საჟენი შეშა და ნახშირი).

შემოღობილია ეზოები, დარგულია მცენარეები, დასუფთავებულია ყველა სასკოლო ოთახი და ეზო. შეკეთებულია რაიონში არსებული 1 - სამკითხველოების და სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებების შენობები. შეძენილია სამკითხველოებისათვის 5.000 მანეთის ახალი ლიტერატურა. შეძენილია საბავშო დაწესებულებებისათვის 160 ახალი სკამი, 80 მაგიდა და 4 ტანისა მოსის დასაკიდებელი შკაფი.

ბოლშევიკურ სიტყვას ვიძლევით, რომ ახალ სასწავლო წელში სავსებით უზრუნველყვეთ სკოლის მუშაობის მაღალ ხარისხს.

რაიალმასკომის თავმჯდომარე
შარიქაძე.

განათლების განყ. გამგე
დოლიძე.

კონკურსში გამარჯვებულნი დაჯილდოებულნი

(განათლების სახ. კომისარიატის დადგენილება)

1933—34 სასწ. წლის განმავლობაში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ხარისხისა და მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონის ამაღლებისათვის, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და სკოლის მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკურ კონკურსში ჩაბმულ სკოლების მუშაობის შედეგების შეჯამების საფუძველზე, განათლების სახ. კომისარიატი ადგენს:

I. მიეცეს 1—კატეგორიის ჯილდო შემდეგ სკოლებს:

ქალაქის სანიმუშო სკოლებიდან: ტფილისის მე-3 საცდელი საშუალო სკოლა (პედსადგურ) და მე-14 საშუალო სკოლა, სოხუმის სანიმუშო საშუალო სკოლა.

სანიმუშო სკოლიდან — ლაგოდეხის არა სრული საშუალო სკოლას

ქალაქის მასიური სკოლებიდან—ტფილისის 21 და 49 სკოლები, სოხუმის სომხური არასრული საშუალო სკოლა.

4. სოფლის მასიურ სკოლებიდან — ველისციხის საშუალო სკოლას.

II. მეორე კატეგორიის ჯილდო მიეცეს შემდეგ სკოლებს:

ქალაქის სანიმუშო სკოლებიდან: ტფილისის 1-ლი საცდელი სკოლას, 97 (თურქული) საშუალო სკოლას, ქუთაისის სანიმუშო საშუალო სკოლას, სამტრედიის და ზესტაფონის რკ. გზის საშუალო სანიმუშო სკოლებს.

ქალაქის მასიურ სკოლებიდან— ტფილისის 73 (სომხური) არა სრული საშუალო სკოლას მე 18 საშუალო სკოლას, ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლას

სოფლის სკოლებიდან —ცაიშის (ზუგდიდის რაიონი) არა სრული საშუალო სკოლას

პერსონალურად დაჯილდოებულ იქნეს ორი თვის ხელფასის რაოდენობით პირველ კატეგორიის სიაში მოხსენებული სკოლის დირექტორები და მოადგილეები

მეორე კატეგორიის სიაში მოხსენებული დირექტორები და მოადგილეები—კი-თითო-თვის ხელფასით.

დაევალოს სახალხო სამმართველოს დააკმაყოფილოს აღნიშნული სკოლები კონკურსის პირობებში გათვალისწინებულ ჯილდოების მიხედვით.

2. წინადადება მიეცეს ყველა სკოლის დირექტორებს და გამგეებს დამუშაონ მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის კონკურსის შედეგები და მის საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნეს 34—35 სამოსწავლო წლისათვის ახალი ვალდებულებების აღება სასწავლო წლის წარმატებით ჩატარებისა და სოციალისტური ბრძოლისა და დამკვრელობის შემდგომი გაშლისათვის.

განსახკომის მოადგილე ერ. გორდელაძე.

პიონერების ბრიგადა ეაუბრება მე-44 სკოლის დირექტორს ამხ. ჩოჩიას სწავლის თვის მზადყოფნის შესახებ

***

ლაპარაკოგენ კედაგოგები

ევგ. ისპანდიაროვა

ტფილისის მე-70 საშუალო სკოლის დირექტორი

პარტიის, კომკავშირის მასწავლებლების, მშობლების, და პიონერ ორგანიზაციის „მთლიანი ფრონტით“ ჩვენმა სკოლამ წარმატებით დაამთავრა ახალი სასწავლო წლისათვის მზადება.

შევაკეთეთ სკოლის შენობა; ბავშვები უზრუნველყოფილი არიან სუფთა ნათელი და ფართო საკლასო ოთახებით.

ტექნიკურმა თანამშრომლებმა თავი დამკვრელებად გამოაცხადეს.

— ვინ უფრო კარგად მოუვლის ოთახებს, ვინ დაიცავს სანიმუშოდ სისუფთავეს ვინ იქნება ჯილდოს კანდიდატი?

— პასუხისმგებლობა და თვალის ჩინივით მოვლა თვითეული პარტის, დაფის, ფანჯრის მინის. სასკოლო ინვენტარის სისუფთავის დაცვა— ასეთ ჯილდებულებას იკისრებს ოღონ ჩვენი სკოლის თვითეული მოწაფე.

დღის გავანაწილებთ აგრეთვე საველმძღვანელოებს, სასწავლო ნივთებს; წიგნებით ყველა მოწაფე უზრუნველყოფილი იქნება, სკოლის ფიზიკური, ქიმიური და საბუნებისმეტყველო კაბინეტების ხელსაწყოები სუფთად გაკრიალებული სპეციალური შკაფებში წესიერადაა დალაგებული. სასკოლო სახელოსნოებში დაზგა. ჩაქუჩი, ხერხი, რანდი, შალოშინი ელის პატარა ხელოსნებს ხელს.

გუშინ მთელი დღე სკოლაში არაჩვეულებრივი ერიამული იდგა. „მილებული ვარ“, „გამოცდა დავიჭირე“ გაისმოდა სიხარულისა და ალტაცებისაგან ლოყებ გაფაფაებული ბავშვთა წამოძახილი.

გუშინ ნამდვილი დღესასწაული ნამდვილი ზეიმი იყო!

დღეს კი ყველა თავთავიანთ საკლასო ოთახში ხალასით მოუსმენს პირველ ეკაკვეთილს, პირველად შეეა მთლიანად განახლებულ სახელოსნოში და დადგება მირნეულ დაზგასთან, კაბინეტში ჩაატარებს პირველ ცდას.

სოლ. ციცაძე.

ტფილისის მე-5 არასრული ს. სკოლის დირექტორის მოადგილე



როცა დარწმუნებული ხარ საკუთარ ძალებში, დარწმუნებული ხარ იმაშიც, რომ ყველა ზემდგომი ორგანო შენი დამხმარეა, ასეთ პირობებში, თუ სკოლის, კოლექტივი თავის ადგილზეა, ყოველ სიძნელის გადალახვა შეიძლება.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი სკოლა მთლიანად მზად არის, რომ დღის დაღის 9 საათზე შეუდგეს ნორმალურ მეცადინეობას.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ერთი რამ, რაც წინადაც გვიშლიდა ხელს და თუ ზომები არ იქნა მიღებული მომავალშიც შეგვიშლის: სკოლის შენობას თანდათანობით კერძო მოპირებენ; ეს ფაქტი — ეს ფაქტი — ეს ფაქტი ამ ბინადრენი იკავებენ. სკოლა ძალზე შევიწროებულია; ორწყიბად გვიხდება მეცადინეობა. **ორჯონიკიძის** რაისაბჭომ უეჭველად უნდა გამოას წოროს ეს მდგომარეობა.

11 სექტემბერს დავამთავრეთ გაკვეთილების განაწილება. საბოლოოდ დაზუსტებული სასწავლო ცხრილით მიგდიოვართ ოღის სასწავლებელში.

ზაფხულში კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში დასვენების შემდეგ მასწავლებლები ხალისით შეუდგნენ მუშაობას. დამუშავებულია სკოლის წლიური გეგმა და საშუაო პროგრამები. განახლებულია მეთოდბიურეების მუშაობა. ერთი სიტყვით: მზად ვართ ხალისით და მხიარულად შეხვდეთ დღეს ჩვენს სკოლაში მოსულ ბავშვებს.

ვიწყებთ ნორმალურ მეცადინეობას

(ლაგოდეხი)

1934-35 სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში, ლაგოდეხის რაიონმა მიაღწია საგრძნობ წარმატებებს:

დამთავრებულია დაწყებით სკოლის 1-ლ და არასრულ საშუალო სკოლის მე-5 კლასების დაკომპლექტება.

გადამზადდა 18 ოსი მასწავლებელი.

როგორც ქართული, ისე ნაცუმცარეობათა სკოლები უზრუნველყოფილია მასწავლებელთა კადრით.

გაცემულია 1-ლ სექტემბრამდე მასწავლებელთა ხელფასი.

უზრუნველყოფილია სკოლები მიწის ნაკვეთებით. უზრუნველყოფილია განათლების განყოფილება აპარატი საჭირო ინსტრუქტორ - მეთოდისტებით.

ახლად აგებულია 6 სასკოლო შენობა, გაუკეთდა რემონტი 40 სკოლას; შედგენილია თუნუქის სახურავიანი 10 შენობა (35 ოთახით). ძეძენილია 359 ახალი მერხი, შეკეთებულია 487 მერხი, შეძენილია 47 სამასწავლებლო მაგიდა, შეკეთებულია 15 მაგიდა. შეძენილია 12 ახალი დაფა, შეკეთებულია 22 დაფა.

შეძენილი და შეკეთებულია 74 ღუმელი. ჩასმულია 120 კვ. მეტრი მინა; შეგროვილია ნიბაყოფლობის საფუძველზე 82.566 მან.

დღეს ვიწყებთ ნორმალურ მეცადინეობას.

ლაგოდეხის რაიალმასკომის თავმჯდომარე ლალიევი.

რაიგანათლ. განყ. გამგე
ბახტაძე.

ფირდოუსის დაბადების 1000 წლის თავის საზეიმო სხდომა

სპარსეთის მთავრობის წარმომადგენლები ბ-ნი ნაფისი, ბ-ნი დიბა ათვალიერებენ ფირდოუსის დაბადებიდან 1000 წლისთავის გამო მოწყობილ გამოფენას.

ორჯონიკიძის სახ. საზაფხულო კლუბი. საზეიმოდ არის მორთული, ალაყოფის კარებთან: საბჭოთა დროშის ყვერდით ფრიალებს მეგობრული სპარსეთის სახელმწიფოებრივი სამფერეოვანი დროშა ემბლემით: ლომი—ხმლით და ამომავალი მზე-ალი.

ბაღში ზღვა ხალხი. შადრევანთან ხეების მწვანე ფოთლებს შორის მოსჩანს გამოჩენილი სპარსელი პოეტის აბულ ყასემ ფირდოუსის ძველი მინიატურიდან გადიდებული, ელექტრონით გაშუქებული. უხარამაზარი სურათი.

ყველა ათვალიერებს მას. ყველას აინტერესებს. ყველა კითხულობს.

— ეს სპარსეთის შოთა რუსთაველია; შოთაზე ცოტათ ნაკლებია, მაგრამ მაინც ძალიან დიდი ხელოვანი ყოფილა — ეხსნის ცნობისმოყვარე გამვლელს ზოგი. „მცოდნე" დამთვალიერებელი.

საზაფხულო კინო-დარბაზი ვერ იტევს ყველა მსურველს. ფეხზე დასადგომი ადგილის შოვნაც „დიდ მიღწევაა" ყველას თვის. ახლო მივიდეს ახლო მოისმინოს თუ რას იტყვიან იმ უცნაურ ადამიანზე, რომელიც 1000 წლის წინათ დაბადა, და ღელავს „ცოცხლობს".

ეხსნება ფარდა. პრეზიდიუმში სხედან ამხ. ფ. მახარაძე და მთავრობის წევრები. მათ შორის სპარსეთის ცნობილი პროფ. ს. ნაფისი. ბ. ს. ნაფისის გამოჩენას დარბაზი მქუხარე ოვაციით და ფეხზე ადგომით ხვდება. მუსიკა ასრულებს სპარსულ სააღლუმო ჰიმნს. ამხ. ფილიპე მახარაძე მოკლე სიტყვაში ლაპარაკობს იმაზე, თუ რა გავლენა იქონია ფირდოუსის შემოქმედებამ და მისმა „შაჰ-ნამემ" ჭარბულ კულტურაზე.

— ალბათ თვით ფირდოუსი გრძნობდა, რომ ის გენიალური შემომქმედი იყო, როცა ამბობდა: „სამუკუნეთა სრბოლას გადაჭარბებს ეს ჩემი წიგნი" ან „ლექსით ავაგე ვეება კოშკი, ვერც წვიმა ავნებს, ვერც ქარიშალი". — დასასკვნის ამბ ფილიპე და მის სიტყვას ფარავს ხანგრძლივი ტაში.

პროფ. ბ. ნუცუბიძის სიტყვის შემდეგ ამბ ფილიპე მახარაძე სიტყვას აძლევს პროფ. ს. ნაფისს.

— „მე გავიარე მრავალი კილომეტრი სპარსეთიდან საქართველომდე იმისათვის, რომ უშუალოდ დავსწრებოდი თქვენ მიერ ფირდოუსისადმი მიძღვნილ საუცხოოდ მოწყობილ ზეიმს. ფინიდან ეს ზეიმი ეკუთვნის ჩვენი ხალხის დიდ პოეტს ფირდოუსს. ამიტომ ნება მომეცით ამ ადამიანის მომეცით გადმოგაცეთ სპარსეთის ხალხის დიდი მადლობა" — ამბობს ს. ნაფისი და განაგრძობს: „ჩვენი დიდი პოეტი—ფირდოუსი არის თქვენი პოეტიც, —საქართველოს პოეტი—ისევე როგორც თქვენი პოეტი რუსთაველი არის ჩვენი პოეტი" ამ სიტყვებზე დარბაზი მქუხარე ოვაციებს უმართავს ს. ნაფისს. —„ამ საუკუნეთა სპარსეთის და ქართველ ხალხთა ერთიერთობის ისტორიაში ასეული ფურცელი აწერია. ამიტომ ნება მომეცით ამ ტრიბუნიდან სპარსეთის ხალხის სახელით გითხრათ: გაუმარჯოს საქართველოს და საქართველოს ხალხს". ამთავრებს თავის უკანასკნელ სიტყვებს ს. ნაფისი. — ისევ ტაში. —ისევ ოვაცია და მხურვალე მისალმება გაისმოდა დარბაზის ყოველი კუთხიდან.

ამით დამთავრდა საზეიმო სხდომა. რომლის შემდეგ გაიმართა ჰხატვრული ნაწილი ცნობილი ძალების მონაწილეობით

შეხვედრა მთავრობის სასახლეზე

რუსთაველის პროსპექტზე ყოფილ ხამ-ხედრო ტაძრის ვეებერთელა ეზოში შენდება საქართველოს მთავრობის სასახლე.

სექტემბრის დამლევისათვის უკვე დამთავრებული იყო ძირითად კორპუსების ყველა საძირკვლის ამოყვანა

ამ მშენებლობის ადგილიდან უკვე გატანილია 23 000 კუბიკური მეტრი მიწა და შესრულებულია 7 000 კუბ მეტრი ბეტონის და რკინა-ბეტონის სამუშაოები

ამ გრანდიოზული შენობის საფუძვლის ჩაყრა დიდ სიხენელეს წარმოადგენდა. ვინაიდან ალაგ ალაგ ნიადაგის თვისებების გამო. საჭირო გახდა მიწის 12 მეტრის სიღრმეზე გაჭრა

ამჟამად მიმდინარეობს ხე-ტყის სამუშაოები და არმატურის დადგმა ბეტონის კედლების და იატაკის ჩამოსახსნელად.

უკვე დამთავრებულია დამხმარე ნაგებობათა შენება, ამუშავებულია ბეტონიტის ქარხანა. ხე-ტყის სახერხი და საზეიმ-კლო-ტექნიკური საამქროები ამასთან ერთად მიმდინარეობს ქვის თლა შენობის წინა ფასადის და შიგნით შესალამაზებლად მთავრდება ქვის სახერხი ფაბრიკის აგება ეს ფაბრიკა მოწყობილ იქნება საოცეთესო მექანიზმებით

მთავრობის სახლის გასამშვენიერებლად ხოლნისის კარიერში მზადდება სახიანი ტუფი და წნელისის რაიონში (სამრეთ-ოსეთი) — მარმარილო, აირუმში და ბამბაკში — გრანიტი, ხოლო სადასლოში — ანდეზიტიანი ტუფი ამავე საჭიროებისათვის ლოფოთის ხეობიდან (კახეთი) გამოტანილია 70 კუბიკური მეტრი თეთრი მარმარილო.

მშენებლობა 1934 წლისათვის სავსებით უზრუნველყოფილია საპროექტო მასალებით. მშენებლობას საკმაო რაოდენობით არ მოეპოვება ძირითადი საშენი მასალა—ცემენტი.

ამჟამად წარმოებს კორპუსების ფასადების პროექტის შედგენა ამ დღეებში მთავრობის სასახლის საელშენებლო კომბინატი განიხილავს ფასადის 6 პროექტს. რომლებიც შედგენილია არქიტექტორ კოკორინის (მოსკოვი), ნეპრინცევის, კალაშნიკოვის, ჯანელიძის, მშენებლობაზე მომუშავე ახალგაზრდა არქიტექტორთა ჯგუფის, არქიტექტორ თავაძის და ჩხეიძის მიერ

ფასადის პროექტი საბოლოოდ არჩეული იქნება ოქტომბერში.

სპეც ალისტების სახლი ტფ ლისში

პირველი კორპუსი საექსპლოატაციოდ ოქტომბერში იქნება გადაცემული

მთავრდება მუშაობა „საბურთალოში „სპეციალისტების სახლის" პირველი კორპუსის ასაგებად. საელშენებლო სამუშაოები ძირითადად დამთავრებულია წარმოებს შენობის შინაგანი გაფორმება, მთავრდება კიბეების, აივნების მოწყობა, ფანჯრებისა და კარების ჩასმა. ამავე დროს ეწყობა ცენტრალური გათბობა, წყალსადენი, კანალიზაცია და ელექტროგაყვანილობა. პირველ კორპუსში მდგმურებს ჩასახლებაენ ოქტომბრის პირველ რიცხვებში. კორპუსი გათვალისწინებულია 100 ბინისათვის 3—4 ოთახით თვითეული, ამასთანავე, სამზარეულოთ და შინამოსამსახურის ოთახით. „სპეციალისტების სახლის" ეზოში გაშენებული იქნება პარკი მწვანე ნარგავეთით, გაზონებით და ყვავილნარებით.

პირველ კორპუსის მშენებლობის დაჩქარებულ წესით დამთავრებასთან ერთად, ტფილკომუნმშენი ძირითადად ამთავრებს აგრეთვე „სპეციალისტების სახლის" მეორე კორპუსის მშენებლობას. პირველი იანვრისათვის დამთავრებული იქნება ყველა სამუშაო კედლების ამოსაყვანად და დასახურავად მეორე კორპუსის მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია 1935 წლის დასაწყისისათვის. „სპეციალისტების სახლის" ეს კორპუსი გათვალისწინებულია აგრეთვე 100 ბინისათვის, რომლებიც გადაეცემა კვალიფიციურ სპეციალისტებს.

გაჩაღებულია აგრეთვე მესამე კორპუსის მშენებლობა. უკვე ამოყვანილია საძირკველი და ნაწილობრივ შემოვლებულია ზედაპირზე თლილი ქვა.

კოპიტ-პირული ფვი ეგი აჭარისტანში

ბათუმი, 14 სექტემბერი. მეცხრე დღეა, რაც აჭარისტანის სანაპირო რაიონებში მოდის კოკისპირული წვიმა. 12, 13 და 14 სექტემბერს განუწყვეტლივ წვიმდა. 10 წუთის განმავლობაში ატმოსფერული ნალექი 8—9 მილიმეტრს უდრის. ტემპერატურა საგრძნობლად დაეცა. დროგამოშვებით ქრის ძლიერი ქარი. ზღვის ღელვა 7 ბალს აღწევს.

ნავთსადგურში უკვე მეორე დღეა, ფეხრდება სატვირთო გემების გადმოტვირთვა. იალტიანსა გემმა „ტოვარიშჩმა" და გემ „ბოიკოვმა" პორეულს ტვირთით მთელი დღე-ღამე დაგვიანეს ზღვაში ძლიერი ღელვის გამო.

ტუაფსესა და ფოთს შორის ნიაღვარმა წალეკა ტელეგრაფის ბოძები, ბათომტუაფსე1ფოთს შორის შესწყდა სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი. (ადგ.).

რესპუბლიკური კონკურსი

საქართველოს განსახკომის წინადადებით სახკოლო სამმართველოს დღევანდელ ათი დღის ვადაში შეიჯაჭოს ახალი სახწავლო წლის სამზადისის რაოდენობითი და ხარისხობრივი მაჩვენებლები: რაიონების, ოფლის საბჭოებისა და სკოლების მიხედვით.

განათლების განყოფილებათა რესპუბლიკური კონკურსში მონაწილე რაიონებს, ოფსაბჭოების და ცალკე სკოლების მიერ ჩატარებულ მუშაობის შეფასებლად დამთი დაგროვილების საკითხის გადასაწყვეტად გამოყოფილია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ბ. გოგუშაძე (თავმჯდომარე), ბ. ხავთასი („კომუნისტის" რედაქცია), კ. ბერიძე, კ. ქაცარავა, (ტფილისის განათლების განყოფილება), ნ. ძიძიგური (განკავშირი) და მაისურაძე (ალკკ ც. კ-ი). კონკურსის მასალების წარმოდგენის უკანასკნელი ვადა 25 სექტემბერი.

ახალი დანიშვნა

სხრ. საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

ამხ. კლიმენტი ბესარიონის-ძე ცომაია საქ. სხრ-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

ამხ კლიმენტი ბესარიონის-ძე ცომაია დამტკიცებულ იქნის საქ. სხრ-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე შ. მასხარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. ბ. ნაფეტვარი.

1934 წ. 14 აგვისტოს 26.

ტფილისი

ქრონიკა

◆ ხეზონი ტფილისის ოპერაში გაიხსნება 10 ოქტომბერს ოპერა „შოთა რუსთაველი".

◆ „ხიდი ენგურზე". ამჟამად სვანეთში იმყოფება საქ. სახელმწიფო კინო. ექსპედიცია რეჟ. გომაროვის ხელმძღვანელობით, რომელიც იღებს ფილმს: „ხიდი ენგურზე".

◆ მსახიობთა ბრიგადა სვანეთში სვანეთში (მესტიაში) ჩავიდა ფოთის მუშათა თეატრის ბრიგადა, რომელმაც გზადგზა სოფ. ჯვარში, ხიბეში გამართა მუსიკალური სატირის საღამოები.



მუშათა კლუბებსა და ბაღებში

● ალექსანოვის სახ. მუშათა კლუბში—ხმოვანი კინო „ჩელუსკინელები", უკრავს სასოლო ორკესტრი.

● ვოროშილოვის სახ. საზაფხულო-ბაღში — კინო „დეკაბრისტები", უკრავს სასოლო ორკესტრი.

● ორჯონიკიძის სახ. საზაფხულო ბაღში — კონცერტი, უკრავს სასოლო ორკესტრი. კინო ახალი პროგრამით.

გამოხმაურება

გამოუქვეყნებელ წერილზე „ბუმბურიძის ი ინეგი"

„კომუნისტის" რედაქციამ ამ სათაურით ა.-წ. 7 ივლისს მიიღო წერილი, რომელიც შეეხებოდა შორაპნის ფ.-ტ. ხაგენტს გამგის ბუმბურიძის მიერ კორესპონდენტების წერილების გაჭხნის ამბავს.

„კომუნისტის" რედაქციამ აღნიშნული წერილი გაშალაჯვლევად და სათანადო ზომების მიმაღებად გადაუგზავნა ზესტაფონის რაიაღმასკომს, რომელიც გვაცნობებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა და ბუმბურიძე მიცემულ იქნა პასუხისგებაში.

მარგანეცი

12 სექტემბერი

საკონტროლო ჯგუფუქციის გამოგზავნა ტონაჟით

ეგმა	ფაქტიური	%
3.330	2.686	80,7

ვაგონების ძიებდა

თბილისი	იაროსლავლი	ბაკინური
190	167	160

გამოგზავნილ-განსაკუთრებული ყურადღება

ამ. ა. რკინისგზის გამომგზავნელთა ბიბლიოთეკა

ტფილისის სავაგონო დეპოს ოსტატს ამ. ბედენაშვილს აქვს ცხრა რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც ძალიან ეხება ათასი მანეთის ეკონომიას წელიწადში. ამ. ბედენაშვილი ხაქ. კ. პ. (ბ) წევრია, დამკვრელური მუშაობისათვის არა ერთხელ არის დაგილდოვებული.

სურათზე: ამ. ბედენაშვილი ამოწმებს რემონტის ხარისხს.

11 და 12 სექტემბერს ტფილისში შეკრება ა.-კ. რკინისგზის გამომგზავნელთა ყრილობა. ყრილობაზე ჩამოვიდა 55 დელეგატი ა.-ა.-კ. რკინისგზის სოუკეთესო გამომგზავნელები

ა.-კ. საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე ამ. მაჩაიძემ მოკლე შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ ნახევარი წლის განმავლობაში გამომგზავნელებმა მისცეს გზას 100 ათასი ნარეთზე მეტი ეკონომია. მაგრამ შეიძლებოდა ამ ციფრის გადიდება ორჯერ და სამჯერ, რომ საგამომგზავნელო მუშაობის მეტი ყურადღება ჰქონოდა მიქცეული. ბიროკრატიზმმა და უზრუნველობამ გამომგზავნელებისადმი მიგვიყვანეს იქამდე, რომ 990 გამოგზავნებიდან და რაციონალიზატორული წინადადებიდან მხოლოდ 211 არის განხორციელებული.

რკინისგზაზე გამომგზავნელების მდგომარეობის შესახებ მოკლე მოხსენებით. გამიდა გზის უფროსის მოადგილე ამ. ბიანინი. გზაზე თითქმის არ არსებობს ხელმძღვანელობა საგამომგზავნელო მუშაობაზე, — თქვა მომხსენებელმა, — არ არის ცოცხალი მუშობა გამომგზავნელებთან, სრულიად არ არის შემოღებული სოციალისტური შეკეთა, რომელიც წარმოა. გეზს ერთიერთ ეუცილებელ პირობას გამომგზავნელთა ნაკოფიერი და სწორი მუშობისათვის. გამომგზავნელები ალალბედზე მუშობენ და ზმირად შრომობენ ისეთ გამოგზავნებზე, რომლებიც უკვე ალმოჩენილია და შემოღებულია ხმარებაში. საგამომგზავნელო მუშობას ავორებენ აგრეთვე წარმოგენილი გამომგზავნების პირველადი უგზამლარის დაზადებისათვის აუცილებელი ეტალერეტალური სახელოსნის უქონლობა

გზაზე 4 ათასი გამომგზავნელი და რაციონალიზატორია. ეს მთელი არმიაა, რომელიც საგამომგზავნელო საქმის კარგი ორგანიზაციის დროს შესძლებს მისცეს გზას ეკონომიები მეტი ეკონომია, ვიდრე დღეს ძალეგვიდა.

გზის გამომგზავნელთა საზოგადოების საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ამ. ბერიძემ. საზოგადოების მუშაობის ყველაზე სუსტი მხარე, — ამბობს მომხსენებელი, — არის არადამაკმაყოფილებელი ინსტრუქტაჟი ადგილებზე. ინსტრუქტორების უმრავლესობა არ შეეფერებოდა დანიშნულებას. მათი მუშაობა ატარებდა საგასტროლო ხასიათს, რის შედეგად აღმოსავლეთის უბანზე (განჯა, ბაკი) საზოგადოების უყურედების უმრავლესობა დაიშალა და მხოლოდ ქალალიზე ირიცხებოდა. საგამომგზავნელო საქმეში სუსტადაა, რაბმული კომკავშირი, კიდევ უფრო სუსტად — ქალები. სრულიად არ არსებობს კონტროლი გამომგზავნების განხორციელებაზე, მოუგვარებელია ბრძოლა გამომგზავნელთა ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, არაა ორგანიზებული კონსულტაცია და სხვ. საზოგადოების საბჭოს ახალმა შემადგენლობამ ამ საკითხებს უნდა მიქცეს განსაკუთრებული ყურადღება

ყრილობა განსაკუთრებული ყურადღებით ისმენს ხამურის დეპოს სოუკეთესო ოსტატის ა.-კ. რკინის გზაზე საუკეთესო გამომგზავნელის ამ. მეგრელიშვილის სტატიას, რომელსაც მოჰყავს მაგალითები სამეურნეო მუშაკების მიერ გამომგზავნელთა სადმი უსულგულო დამოკიდებულების და საქმის გაჭიანურების შესახებ. სამტრედიის დეპოს ძველი მეშინჭანე, კომუნისტი ამ. დოლიძე მოუთხრობს ყრილობას ამ. ხახნაძის ძის ძვირფასი წინადადების — სასადგურო ხაზებზე ორი ისრის დადგმის რეალიზაციისადმი უსუგულო დამოკიდებულებაზე. რა თა ჩაეშალათ ამ. ხახნაძის წინადადების განხორციელება, გამოგზავნების რეალიზაციისაგან ეკონომიის თავდაპირველად ანგარიშობდენ 8.000 მანეთის რაოდენობაი, ხოლო შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ეკონომია შეადგენს 400 ათასამდე მანეთს.

ყრილობამ აირჩია გამომგზავნელთა საზოგადოების საბჭოს ახალი შემადგენლობა და მიიღო რეზოლუცია, რომელიც ეფუძნებოდა გასაწევ საზოგადოების საბჭოს ახალი შემადგენლობისათვის.

ოქტომბერი 1934 — „ვარამონი" — ძველი კინო. ... ფილმი „ბაბილონი" — ... „ბავშვის გამო" — ... „ბავშვის ... „ ... „ ... „